





მოქალაქენო! დამფუძ. კრების არჩევნები სწარმოეწყობა

ზიგლირთქა

კვირის 16 თებერვალს, დღის 11 საათზე, საკრებულო ტახარში გად-  
ახდის იქნება წლის პანაშვილი გადაცვალებულს

არკადი გრიგორის ძე ბელოვოდევის

სულის მოსახსენებლად. რასაც აუწყებენ: მეგობრებსა და ნაცნობებს მშო-  
ბლები გრიგორის ხაქარას ძე და აღექსანდრა მიხეილის ასული, ძმა  
გვიგნი გრიგორის ძე ბელოვოდევი და სოფია გრიგორის ასული  
გიორგობიანისა.

სასწრაფო დებეში.

დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავ-  
მჯდომარესაგან მოვიდა დებეში, რომლის ძალითაც იმ პარტი, რომელ  
თაც არჩევნებში მონაწილეობის მისაღებათ პირადობის ბარათები არ ჩა-  
ბარებიათ, შეუძლიათ არჩევნების დღეებში, ესე იგი პარასკევს, შაბათს და  
კვირას 14, 15 და 16 თებერვალს ამ 1919 წლისა დღის 9 საათიდან  
საღამოს 9 საათამდე. მიიღონ ასეთი ბარათები თვით საარჩევნო უბნების  
სადგომებში:

- ა) წყალგაღმა უბნის ამომრჩევლებმა — მეორე გიმნაზიის (ყოფილი  
ქართული გიმნაზიის) სადგომში, ჭავჭავაძის ქუჩაზე.
  - ბ) ცენტრალურ უბნის ამომრჩევლებმა — ქალაქის გამგეობის სადგომ-  
ში, მიხეილის ქუჩაზე.
  - გ) ხაშო უბნის ამომრჩევლებმა — რეალურ სასწავლებლის სადგომში.  
რესპუბლიკის (ყოფილი ოლდენბურგის) ქუჩაზე.
- ქალაქის მთავარი საარჩევნო კომისია.

განცხადება.

მუთაისის ვაჭარმრეწველთა საბჭო ამით გატყობინებს, რომ 25 თებერ-  
ვალს ახალი სტილით ქუთაისში საურთიერთო ნდობის საზოგადოების  
ბანკის ბინაზე დღის 10 საათზე დანიშნულია ქუთაისის გუბერნიის  
და სოხუმის ოლქის ვაჭარმრეწველთა

საზოგადოებრივი

კრების მიზანი არის.

საქართველოს საჯარო-სამრეწველო ბანკისათვის ათა წევრისა და სამი  
მათი კანდიდატის არჩევა.

თანახმათ საარჩევნო ინსტრუქციის მეორე პარაგრაფისა არჩევნებში მონაწი-  
ლეობის მიღება შეუძლია ყველა ვაჭარმრეწველს განურჩევლათ სქესისა  
ხნოვანობით არა ნაკლები 21 წლისა, რომელთაც მიმდინარე წლის პირველ  
იანვრიდან აღებული იქნება საჯარო მოწმობა.

ქუთაისის ვაჭარმრეწველთა საბჭო.  
10 - 3

ქუთაისის მესამე საჯარო გიმნაზიაში  
თავისუფალია უკანაული ენის  
**მასწავლებლის ადგილი**  
თბილისი მიიღება გიმნაზიის დირექტორთან ამა წლის 10 თებერვალს.  
2-1

საქართველო განსაცდელი.

იმ ერთი კვირის წინათ შინაგან საქმე-  
თა მინისტრმა — პოქალაქ ნოე რამიშვილ-  
მა — განაცხადა ქუთაისის თეატრში არა-  
ვალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე:  
„მთავრობამ შინაური და გარეშე მტერი  
აღაგმა, შინ მშვიდობა დაამყარა და იმავე  
დროს ინგლის-საფრანგეთ-აშერიკის მეგო-  
ბრობა და პატივისცემა დაიმსახურაო;  
დიპლომატიკა იმგვარი უნდა როგორცაც  
მთავრობა აწარმოებს, წითელი გვარლიცა  
გვყავს და კარგად გაწრთვნილი ჯარისკაცა“.  
არ გასულა ამ ლექციის შემდეგ ორი  
დღე; რომ წიგნიკითხეთ ქუჩებში გაკრული  
მისი მოწოდება სათაფრით: „სამშობლო  
განსაცდელშიაო!“  
რასაკვირველია, მოწოდებას უფრო უნ-  
და დაუფროთ, ვიდრე ლექციას.  
თფილისის ქალაქის საბჭოს პირველ  
კრებზე ხმოსანმა გ. გვაზავამ სთქვა: თუ

კი ერეკლე მეფე, რომელსაც მართა  
ქართლ-კახეთი ეკირა, ერეკლე და განჯა  
დაიპყრო. გავრთიანებულ საქართველოს,  
რომელსაც რუინის გზები აქვს, ნავსად-  
გურებიც, იარაღიც, სარდლობაც, მარც-  
ხი არ მოუეღოდა, რომ სოციალ-დემო-  
კრატიული მთავრობის ხელში არ  
იყოს მართა ავამეობაო; სოციალ-დემოკ-  
რატებს არ შეუძლიათ შექმნან სახელმწი-  
ფო, მხოლოდ დანგრევა შეუძლიათო.  
მართლაც: ჯერ აქარა-ქობულეთი ავ-  
გაჯანყდა და ჩამოგვაცალა ბათუმი, შემ-  
დედ მოგვეყდა ბორჩალოს ერთი ნაწილი,  
მეორე ნაწილი კი აგრეთვე ახალქალაქის  
მხზო — სადავოდ გამოცხადდა, ახლა დე-  
ნიკინი შემოგვესია და აფხაზები მხად არიან  
შეუერთდენ მათ. ავგაჯანყდა იმავე დროს  
ახალციხის მხარეც! ამბობენ ახალციხე  
თათრებმა აიღესო!  
ჩვენ კი ჯარი, რომელიც სომხეთსა-

ქართველოს ომის დროს შევადგინეთ, უკ-  
ფათ დაეშალეთ!

დღეს მომილიზაცია გამოცხადებული  
ვისაც სამშობლო უყვარს. მტრის მოგე-  
რება აღვიღო, თუ ყველა ერთად იქნე-  
ბით და შინაური შფოთს მოვსაბოთ.

შე მწამს, რომ ქართველის ხმალი კი-  
დევე სჭრის და ქართველი ერთი დაამარც-  
ხებს შემოსულ მტერს, გაიმარჯვებს ბრძო-  
ლის ველზე.

მაგრამ დროა ბოლო მოვდოს ასეთს  
უთაურობას! წელიწადში სამჯერ მომი-  
ლიზაცია და დემობილიზაცია ვის გაუგო-  
ნია?

პირიქით, მუდმივი ჯარი უნდა შევქმნათ,  
რომ სამშობლო საბოლოოდ უზრუნველ-  
ვყოთ თავდასხმისაგან. განა ცხადი არ არის,  
რომ მტერი ჩვენ თვითონ გავათამამეთ  
მით, ჯარი რომ არა გვყავდა?

მეორე მხრით ჩვენი დიპლომატიკა  
უსუსური გამოდგა. სტამბოლიდან მოსულ  
სანდო პირს უთქვამს, ჩვენი დელეგაცია  
სტამბოლიდან არ გაუშვიათო. შეთანხმე-  
ბის სახელმწიფოები ემაყოფილი არ ყო-  
ფილან, დელეგაციაში რომ ცნობილი  
სოციალისტები — კარლო ჩხიციძე და კაკი წე-  
რეთელი — არიან.

იმავე გ. გვაზავამ, რომელიც სტამ-  
ბოლში იყო და რომელსაც, მამასადავამ,  
კარგად იცის შეთანხმების სახელმწიფო-  
ების წარმომადგენლებს შეხედულობანი,  
გააფრთხილა ჩვენი მთავრობა: სოცია-  
ლისტებს ნუ გაგზავნით, თვარა, რო-  
გორც კერძო არ მიიღეს, ისე არც  
მათ მიიღებნო.

არ დაუჯერეს. გამართლდა გვაზავას  
სიტყვა. და საქართველო საშიშარ მდგო-  
მარეობაში ჩავარდა. საზოგადოებრივი  
კრიტიკა, რომელზედაც უნდა გადაწყდეს  
თვითმეორე სახელმწიფოს ბედი, საქარ-  
თველოს წარმომადგენლები არ იქნებიან,  
რადგან გამარჯვებული კალიცია. სო-  
ციალისტებს არ ენდობა, ჩვენი სოცია-  
ლისტური მთავრობა კი — არასოციალის-  
ტებს არ ენდობა და არ გაგზავნის!

დროა გაგოთ, მოქალაქენო, რომ  
სოციალ-დემოკრატიის მთავრობამ საქარ-  
თველო განსაცდელში ჩაგდო და უფრ-  
კრულის პირამდის მიიყვანა. მის არ  
მისცეთ ხმა სოციალ-დემოკრატიულ პარ-  
ტიას, არამედ მივიტოვო ხმა ერთგულ-  
დემოკრატიული პარტიის სიას. — მეორე  
ნუმერს (№ 2).

ვახილ წერეთელი.

გ ა ვ ვ რ ი თ

არა ჩვეულებრივის ტემპით და სიჩქა-  
რით აწარმოებენ პარტიული მოღვაწეები  
მუშაობას განსაკუთრებით სოფლად.

ყველა პოლიტიკური მიმართულება  
დღევანდელ პირობებში დაინტერესებულია  
გამარჯვებაში, რისთვისაც ამოძრავებს  
მთელს მის ძალ-ღონეს ენერჯიას და კა-  
პიტალს.

ეს ასეც უნდა იყოს.

დღეს ქართველი საზოგადოება აშკარად  
ხედავს ცხარე ბრძოლას ორ მიმართულე-  
ბათა შორის, ესენი არიან: ერთგულ-  
დემოკრატები და სოციალ-დემოკრატები.

ამ ორი მოწინააღმდეგე მრწამსის შიდა-  
რებულ პარტიათა შორის ანთებულია სა-  
შინელი ცეცხლი.

გამბატონებული პარტია: სოციალ-დემო-  
კრატია, აშკარაა, გრძნობს არა უსაფუ-  
ძელი შიშს, რადგანაც მათ წინაშე გაზარ-  
თულია ცხადი ერთგულ-დემოკრატიული  
პარტიის გაღრმავება. ამ მოვლენას  
უწყებენ ისინი სათანადო ანგარიშს და  
სოციალ-დემოკრატები რომ არაჩვეულე-  
ბრივი ანგარიშის ხაზობა.

ორგანიზაციულ მუშაობაში მათ ტოლი  
არ ყოფი. ამისათვის მათ მომზადებული  
აქვთ მტკიცე ნიადაგი.  
ასეთივე ენერჯიული ორგანიზაციული  
მუშაობის წარმოებაში დაინტერესებული

არაინ ყველა სხვა პოლიტიკური პარტიე-  
ბიც და სათანადო მუშაობას ეწყვიან.

ჩვენ შეგვიძლიან მივიღოთ და შეუ-  
რიგდეთ საქართველოს რესპუბლიკის ტე-  
რიტორიაზე სოციალ-დემოკრატების, ერთგ-  
ულ-დემოკრატების, რადიკალ-დემოკრა-  
ტების, ერთგული პარტიის მოღვაწეობას,  
არსებობას, მაგრამ საკვირველება ჩვენი  
უცნაურია, როდესაც ხსენებულ პარტიათა  
შორის თავს ამოყოფენ უკვე საქართვე-  
ლოში რელიგიური პირობათა და სინამდვილის  
მიერ სასტიკად დამარცხებული პარტიები:  
სოციალ-ფედერალისტები და სოციალ-  
რევოლუციონერები. ჩვენ ვერასოდეს  
ვერ წაფიქრებთ სოციალ-ფედერალისტებს  
მათ მტრე სამსახურს ერთგულ საკითხის  
მოგვარების სფეროში, მაგრამ იქ სადაც  
ჩვენ ვხვებით მათ ავარულ პროგრამას,  
ვამბობთ, რომ მათი დღეები უკვე და-  
თვლილია. მით უმეტეს რა აქვს საერთო  
ქართველ გლეხთან სოციალ-რევოლუცი-  
ონერებს? ვინ არის ეს ხალხი? რომელ  
მშველენს ჩამორჩა ძმები გობჭიჩების პარ-  
ტია?

რალა დარჩენილ მათ აქ?

ესინი უკვე დასამარდენ არა აქ, არამედ  
იქ, სადაც წარმოიშვენ და სადაც მათი  
ავარული პროგრამის განსახორციელე-  
ბლად იყო მტრედ მომზადებული ნიადა-  
გი, ეს არის რუსეთი თავისი თემობრივი  
მიწათმფლობელობით, მათი სოციალიზაცია  
ბოლო შევიკურ რუსეთში დაიმსხვრა.

მაგრამ ისინი მაინც არ ცხრებიან, მაინც  
ცდილობენ, ჯოჯობენ და რალაცას აქე-  
თებენ.

ამ ბოლო ხანებში პროგრამის და კერ-  
ძით სოციალიზაციის დალიტიკა კი დას-  
ჩემდათ, გადაიკითხეთ მათი ვაზეთი „შრო-  
მის“ № 59 და იქ თქვენ ნახათ მათი  
პროგრამის, ავარული საკითხის პრო-  
გრამის სხეს.

ისინი სწერენ: სოც-რევ. პარტია დღეს  
ერთად ერთი პარტიაა, რომლის მოძ-  
ღვრება, პროგრამა სასესებო გაამართლია  
ცხოვრებამ“

ასეთი სიოთამე უცნაურობას ბადებს.  
რომელი ცხოვრებამ გაამართლა მათი  
მოდღვრება ჩვენ არ ვიცით, ის კი ვი-  
ციოთ უკვე, რომ სოც-რევ. სამშობლო-რუ-  
სეთის ისინი პირველ ცდისთანავე დაამა-  
რცხა და განადგურა. ნუ თუ რუსეთში სო-  
ციალიზაცია გატარებულია? პასუხი მხო-  
ლოდ და მხოლოდ უარყოფილია.

ავიღოთ საქართველო. განა ქართველი  
გლეხის ფსიხოლოგიამ და მოთხოვნილ-  
ებამ შეიწყნარა სოციალიზაცია? პირველი,  
ქართველი გლეხი სოც. რევ. პირველი  
მტერი არის და იქნება. ხსენებული გზე-  
თში ყველაფერზე არის ლაპარაკი. ყვე-  
ლაფერზე სწერენ, გლეხზე, თავადზე, თა-  
ვისუფლებზე, მემკვიდრეობაზე და სხვა  
რამეზე, მხოლოდ ერთი რამ არ არის მა-  
ნდ აშკარა ნათქვამი, სოც-რევ. იცავენ  
და ან დაიცავენ თუ არა კერძო საკუთ-  
რებას, აძლევენ თუ არა გლეხს მიწას  
სრულს მის საკუთრებად, უფასოდ? აი  
ჩვენი კითხვა, და თუ მათი პასუხი იქნა  
დადებითი, ჩვენ ვიტყვი, რომ ეს არის  
ლალიტი სოციალიზაციისა და პროგრამის  
უარისყოფა, რათ იბრძვის ეს ხალხი? რათ  
უნდათ ხმები? ნუ თუ პრეზიდენტობას  
შესთავაზებენ ი. ნუკუბიქის ან პარიხელ  
გობჭიას? სასაცილო იქნება.

ჩვენ სწორედ გვიკვირს ასეთა თავებლობა  
პოლიტიკური მოღვაწის სახელის მატარ-  
ებელი ხალხისა. დრო მოვა, ქართველი  
ხალხი შეგნებულს აზრით და ფრთხილად  
მისცემს ხმას მისთვის საჭიროდ მზრუნველ  
პარტიას და მაშინ სოც. ფედ და სოც.  
რევ. სოციალისტურ არსებობას საქარ-  
თველოში „მწუხარე“ პანაშვიდს გადაუ-  
ხდის.

ჩვენ ამის იმედი გვაქვს.  
ამას მოწმობს თბილისის საქალაქო არ-  
ჩევნებიც.

მ. მეგრია.





# სმა მიეცით ეროვ.-დემოკ. პარტიის სიას № 2

## კლიმანოს სიტყვა

კლიმანოს ესაუბრა ამერიკელ ეურ-ნაღისტს და სხვათა შორის სთქვა: „მე ვსთქვი, რომ ომი მოგებულა. შეიძლება უფრო სწორი იქნებოდა შეთქვა მე მონია, რომ ახლა მღვდლებს დროს სი წყნარე არის, ჩვენ ამას წინა ვაგვეთ მოწინააღმდეგის ზრახვები. პრუსია საფრანგეთის განადგურებაზე და მსოფლიო ბტონობაზე ოცნებობდა. გერმანელი ბანკირები და მრეწველნი მონაწილეობას იღებდნენ ამ მისწრაფებაში. ამიტომ ვასაგებია თუ რათ ანადგურებენ სრულიათ ჟმიზნოთ საფრანგეთის ოლქებს, საფრანგეთის მრეწველობა დაეცა ისე, რომ მისი ალაროძინება ერთობ ძვილია, ხოლო თუშეცა გერმანია დამარცხდა, მაგრამ მისი ქარხნები უფნებლად გადარჩა და მათათა სამუშაოთ. საფრანგეთსა და პრუსიის შორის გამარჯვება ჯერჯერობით მეორეს დიხა. საშხედრო გამარჯვების თვალსაზრისი კი გერმანიის მხარეზე საფრანგეთის რამდენიმე საშიში უპირატესობაა. მართალია, მოკავშირეებმა ხელი იკდეს გერმანიის ფლოტი და საკმაო იარაღი აკარეს მტერს, მაგრამ რჩება კდე რუსეთი, თუშეცა ქოტიული, მაგრამ ნაყოფიერი. რომელიც გერმანულს დიდად დაეხმარებინ. ინგლისის ჯარის დემობილიზაციისა და ამერიკის ჯარის სამშობლოში დაბრუნების გამო საფრანგეთი განმარტობული რჩება, რაც მბადებს შიშს გერმანიის მხრით სამხედრო მოქმედების განახლებისას. ეს ჩვენ გაჭირვებაში გვახმნებდა, რომ დეპუტატთა პალატაში ვიღსონ არ მოეცა იმედო, დასასრულ კლიმანოს სიტყვა, რომ საფრანგეთი ყველა თავის მოვალეობას შეასრულებს ხალხთა ლიგის წინაშე გაზ. „პტი-ურნალი“ აქვეყნებს ცნობებს საფრანგეთის ჩრდილოეთ ოლქების გერმანელების მიერ აობრების შესახებ. ქრუბეში დიდიან მისი გერმანელების მიერ დაპყრობისა მის განთავისუფლებამდე გერმანელებს 800 მილიონამდე ფრანკის ქონების რეკვიზიცია მოუხდენიათ და 100—150 მილიონის დამზადებული საქონელი გაუზიდაეთ. ამის გარდა მხედველობაში მისაღება დიდი სამხედრო გადასახადები ჯარშიმები და ქარხნების და მასალის განადგურება. ტურკულში გერმანელები ანაირადვე იქცევიან. ყველა ეს ცნობები მნიშვნელობას აძლევს კლიმანოს სიტყვას.

სადე, რომელიც მ დღეში უკანვე როსტოვში დაბრუნდება. იმ პირებს რომლებმაც წერილები მიიღეს როსტოვის სტუდენტებისაგან, მეუძლიათ წერილების განგზავნა, პირადათ ნახვა შეეძლება ოთხშაბათს „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში 10—11 საათამდე.

კავკასიის ბოლშევიკები, როგორც გადმოგვცემენ, კავკასი დიპყრეს ინგუშებმა, რის შემდეგ კავკასელი ბოლშევიკები, უმთავრესად ქართველებმა ჩვენს მთავრობასთან გამართეს პირდაპირი შეთხუთლით პოლიპარაკება. მათ წარმოამდგენელმა სერგო ქავთარაძემ თხოვი—მეცა ჩვენ მთავრობას მათთვის საქართველოში დაბრუნების ნებართვა და აღუქვა, რომ იარაღსა და ყოველგვარ ქონებას ჩავაბარებთ. ჩენი მთავრობა დასთანხმდა და განგზავნა თავის წარმომადგენლები იარაღისა და ქონების მისაღებათ და მათ ჩამოსაყვანათ.

კანდიდატთა შესახებ. დამფუძნებელ კრების საარჩევნო კამპანია გაჩაღებულია და ჩემს მოვალეობათ ვთვლი მოქალაქეებს შემდეგი გავაცნო: ვინც განზახ ყალბ ცნობებს გამოაკვეყნებს კანდიდატის პიროვნების ან მისი კრძოცხოვრების შესახებ იმ მიზნით, რომ ნდობა დაუკარგოს მას ან მის მიერ წარმოდგენილ ორგანიზაციას ან გაიყვანოს სხვა კანდიდატი, დაისჯება ოცნხეში ჩამწყვედვით ან დაჯარიმებით (ი. დამფ. კრების დებულების მუხლი 95). მე მოგანება იმან გამოიწვია, რომ შეიძლება ბევრმა არ იცოდეს კანონის ეს მოთხოვნელება და ამიტომ საარჩევნო ბრძოლის დროს წამოყენებულ კანდიდატების სახელის გატეხასაც არ დაერიდოს. ამის საბუთი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უკვე არის. ერთერთ წარმომადგენელ სიის კანდიდატმა განცხადება შემოიტანა და მოითხოვეს, დაცულ იქმნას ის, როგორც დამფუძნებელ კრების კანდიდატი პირადათ მასზე თავდასხმისა და შეურაცყოფისაგან, რითაც მომჩინავის აზრით სურთ მას სახელი გაუტეხონ ამომრჩევლების თვალში. ვაცნობებ რა ამის მოქალაქეებს და პრესას ვთხოვ მხედველობაში იქონიონ კანონის შემოყვანილი მოთხოვნელებები, დამფუძნებელ კრების ცენტრ. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე.

სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარე ა. სააკიანმა დებეშით მიმართა ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთის და იტალიის პარლამენტის თავმჯდომარეებს, რომელშიაც სთხოვეს მათ დახმარება აღმოუჩინონ სომხეთს და აცნობს იმათ სომხეთის ცუდ მდგომარეობას.

საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებით ბორჩალოს მახლოს გენერ. გუბერნატორობს დაეგალა ტფილისისა და მის მიდამოების გენერალ გუბერნატორს მალფრაკელიძეს, რომელსაც უნდა დაეჭემა დებაროს აღნიშნული რიონის ყველა სამხედრო ძალა და სამოქალაქო დაწესებულება.

- სმას ვაძლეე საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიას № 2
1. ნიკოლაძე ნიკოლოზ (ნიკო) იაკობის ძე
  2. კეკელია სპირდონ მალხაზის ძე
  3. ქიქოძე გერონტი დიმიტრის ძე
  4. გვახავა გიორგი ბეგენის ძე
  5. თაყაიშვილი ექვთიმე სვიმონის ძე
  6. მაჭავარიანი იოსებ კონსტანტინეს ძე
  7. ასათიანი ალექსანდრე სასონის ძე
  8. სურგულაძე პეტრე როსტომის ძე
  9. შაიკვეციანი შალვა გრაგვიანის ძე
  10. ივანიჭვირაძე რაფიელ (რ. ინგილო) ალექსანდრეს ძე
  11. ლორთქიფანიძე იასონ მეჩაბის ძე
  12. გოთოა ბართენ ალექსანდრეს ძე
  13. მარგველიაშვილი ტიტე თადეოზის ძე
  14. თორაძე ალექსანდრე დავითის ძე
  15. ზურაბიშვილი ივანე ივანეს ძე
  16. წერეთელი ვასილ გიოთავის ძე
  17. შვევარდნაძე მიხეილ ირაკლის ძე
  18. ჩიქოვანი ილია მანუჩარის ძე
  19. ჯაყელი ნიკოლოზ იოსების ძე
  20. კეკელიძე კორნელი
  21. ხანაშვილი იოსებ სოლომონის ძე
  22. წერეთელი ნიკოლოზ ესტატეს ძე
  23. ჯაფარიძე ტრიფონ მიხეილის ძე
  24. მიქელაძე ვლადიმერ სიმონის ძე
  25. ჯაფარიძე ლევან (ლელი) სიმონის ძე
  26. თავდაციანი ნიკოლოზ ყარაშაინის ძე
  27. საყვარელიძე ალექსანდრე სიმონის ძე
  28. ვართაგავა იპოლიტე პეტრეს ძე
  29. ოცნელი იოსებ ივანეს ძე
  30. ყოფიანი ვასილ როსტომის ძე
  31. გორდემიანი გიორგი პავლეს ძე
  32. პურადაშვილი ივანე ისაკის ძე
  33. კვიციანი დავით მესარიონის ძე
  34. დადიანი იოსებ იულიანის ძე
  35. თბილელი ნოე სიმონის ძე
  36. მამულიაშვილი ლევან ქიხოსროს ძე
  37. თუმანიშვილი პავლე იოსების ძე
  38. პაპია ბარნაბ ამბაკოს ძე
  39. მეუნარგია იონა მიხეილის ძე
  40. სულუხია მოსე ივანეს ძე
  41. საბახტარაშვილი მიხეილ ალექსანდრეს ძე
  42. ჯავახიშვილი (ადაშიშვილი) მიხეილ საბას ძე
  43. ციციშვილი ვასილ მიხეილის ძე
  44. გლიავა გრიგოლ ლარგენტის ძე
  45. ქიტიაშვილი ზაქარია დიმიტრის ძე
  46. უორდანი გიორგი თედორეს ძე
  47. ლუბაძე დიმიტრი მოსეს ძე
  48. ნასიძე ივანე ამბაკის ძე

49. ბერელიშვილი ვასილ გერასიმეს ძე
50. ედილაშვილი ზაქარია (ზ. ედილი) გომოლოზის ძე
51. მოსეშვილი ბართლომე პავლეს ძე
52. მაჭავარიანი გიორგი ლუარსაბის ძე
53. ხუციკვაძე თეოდორე იესეს ძე
54. გველესიანი იოსებ იოსების ძე
55. დადიანი ილია ილიას ძე
56. ჯაფანი მესარიონ ლევანის ძე
57. გეგეჯიანი გიორგი სტეფანეს ძე
58. კალანდძე დავით ივანის ძე
59. ბარათაშვილი გრიგოლ საჩინოს ძე
60. ახეველიანი ვარლამ სოლომონის ძე
61. მელიქიანიშვილი ვასილ გიორგის ძე
62. კლიმაშვილი ზაქარია მიხეილის ძე
63. გვალია მიხეილ ოტაის ძე
64. ვრიგოლაშვილი ალექსანდრე პლატონის ძე
65. გოვტიძე გერმან იოსების ძე
66. გამრელიძე ალექსანდრე ივანეს ძე
67. ჯავახიშვილი იასონ ვლადიმერის ძე
68. ედილიაშვილი კონსტანტინე მალხაზის ძე
69. შლიმაშვილი გიორგი მიხეილის ძე
70. ტატიშვილი შალვა გრიგოლის ძე
71. ყუფარიძე ბარნაბ სოლომონის ძე
72. კასრაძე დავით ილარიონის ძე
73. ზუნაძე პავლე ნიკოლოზის ძე
74. აბაშიძე გიორგი მინას ძე
75. ხუნდაძე ლევან სილოვანის ძე
76. გედევანიშვილი რევაზ ალექსანდრეს ძე
77. ტბილეთი მიხეილ მათეს ძე
78. იშხნელი ზაქარია ნიკოლოზის ძე
79. გვერდულიანი გაბრიელ ივანეს ძე
80. მარუაშვილი მინა მალაქიას ძე
81. ბებერიშვილი ამბროსი მესარიონის ძე
82. გამრელიძე სასონ იოთამის ძე
83. ხერხეულიძე მიხეილ ზურაბის ძე
84. ჟღერტი ილარიონ მოსეს ძე
85. კლიმაშვილი ნესტორ მიხეილის ძე
86. დლაქიშვილი ევგენი გიორგის ძე
87. მგალობლიშვილი ვარლამ მიხეილის ძე
88. უზურგუთაშვილი რაფელ სოლომონის ძე
89. კიშინელი ნიკოლოზ ანდრეას ძე
90. ჩხეიდაშვილი ივანე თედორეს ძე
91. შამნაური მიხეილ შიოს ძე
92. დათიაშვილი მესარიონ მესარიონის ძე
93. ბურძენიშვილი ივანე სიმონის ძე
94. კეცხოველი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე
95. კვარაცხელია ლავრენტი თადეოზის ძე
96. კიკნაძე ალექსანდრე ილიას ძე

გაქცივის ავტომობილები, ხრილიებს ეტლები და ახლად გაყვნილ ქუჩებს ამსხურებს.

ჩვენს ჩვენს მოგებედეთ უპატრონოანი ვართ—გაიძახის მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე, მეათე და დანარჩენი ნომრები.

მაგრამ მათთვის არავის სცალდა, უტრადლებას არაუნ აქცევს.

რეკლუციის პარველი მერცხალი მეციაყვი, —გაძახის მესამე ნომერი.

წითელი დროშები ბირველად მე ივაფრიალენ, —გაქცივის მეხუთე ნომერი.

თავისუფლების დასამარების პირველი სიტყვა მე მეყუთუნის, ამბობს მერვე ნომერი.

მე ესჯობიარ.

არა მე.

მე.

ევიბრება ერთი მეორეს მესამე, მეხუთე და მერვე ნომრები.

— ოს არამზადები ყველას პირველი და მეორე ნომრები მიაქვან! ჩვენ რა დავიშავეთ? სად არის თავისუფლება, სად არის სოციალიზმი, თორემ ყველა თანაბრად გავსადლებოდი.

გაისმის ნომერთა რიცხლი.

— სიტყვა არ იყვის, მოვხდენდი ნემო ქალების მობილიზაციას და ყველას თვალს დავეფხვებდი, —განაგრძობს მეხუთე ნომერი.

— არ ვამტლოდა ხელიდან რუსის ეშელონები მენს ქალებს ვაჩვენებდი სერის, უპასუხებს მესამე ნომერი.

— ვფიქვავ პაოლოს ბრწყინვალეობას, საქართველოს ჯერ ესთეტიკის სხავი არ მოჰყვნია, ქართველ ხალხს არ სწევია ჯერ ოფელია წველიდან მოუცავს ჯერ ოფელია, თორემ მეთოთხმეტე ნომერი, ნომერი გეგონებისა გაიმარჯვებდა, —მდერის ლექსად მეთოთხმეტე ნომერი.

— ნუ წუხდებით, ნუ წუხდებით, შეინახეთ თქვენი ნომრები, —გაძახის ხალხი და ყუთებისაკენ მოეშურება.

ყულებთან დიდძალი ხალხი სდგას. ყუთები ნუმრებით ივსება.

— ოს რა ჯანდაბაა ეს ფარული კენჭის ყრა ამბობს პირველი ნომრის წარმომადგენელი. ის არ სჯობია კენჭის მიცემა აშკარად იყვეს? ხალხი ვერ გაბედდა მეორე ნუმრისთვის სმა მიეცა. ჩემი მათობით აქ დავდგებოდი და ყველას გაიძულედი, რომ პირველი ნუმრისთვის მიეცათ სმა, ოს, რა ცნობის მოყვარე ვარ ერთი ვიცოდე რომელი ნუმერი მიეტა ამ ყუთში პირველი თუ მეორე. მაგრამ სული ერთია. აი, ამბობ ჩაპკეტავენ თუ არა, ყუთს მე იქ გავჩნდები და ჩაყრი პირველ ნუმრებს. ნუ გეშინია პირველი ნუმერიო ყუთს შენით ავაფხვებ. ამას მე ვიხამ. ეს ჩვენი ხელობაა.

— ვნახოთ, ვნახოთ! რას მოგვიტანს კვირა საღამო, წამოიძახეს ყუთთან მდგომ ასისტენტებმა და საღამოს სრულ 9 საათზე სახლებისაკენ გაეშურენ.

ყინვა მათ კისერში, სწვდებოდა ნუმრები ჰაერში ფრიალებდა.

## ახალი ამბავი

არჩევნები ქუთაისში, ქუთაისში დამფუძნებელი კრების არჩევნები 14 თებერვალს დაიწყო. ჯერ ჯერობით ყუთებთან ცოტა ამომრჩეველი მიღის.

უქმების გამო ჩვენი ვაშეთის მორიგი ნუმერი გამოვა სამშაბათს.

არჩევნები სოფლად. სოფლებიდან დებეშეში მოვდის, რომ სოც.დემოკრატების აგენტები ხალხს აშინებს და ძალადობას ხმარობენ. ავრცელებენ ათასგვარ პროვოკაციას რის გამოც ამომრჩევლები მეტად დაშინებულან.

შახალინეთა არმიის შეჩერება. როგორც ცნობები მივიღეთ, ინგლისელებს მოხალისეთა არმია სოკის ოლქში უკვე შეუჩერებიათ.

თოვლი ქუთაისში ქუთაისში თოვლი მოვიდა. 13 თებერვალს დიდი ქარი იყო, რამაც დასწყვიტა ელექტრონისა და ტელეფონის მავთულები.

ტყაბუღიდან გვატყობინებენ, რომ 13 თებერვალს შალე რაიონში დიდი ქარბუქი იყო. თოვლი დიდი მოვიდა, დაიკავა ძლიერი სიციფები. თუ ამდღეებში ასეთი ცუდი ამინდები იქნა არჩევნებში მონაწილეობას არაინ არ მიიღებს.

რუსეთიდან ჩამოვიდა დონის ოლქის საკონსულოს რწმუნებული ბიკ. აბე-

## პატარა ფელეტონი

არჩევნების დღეს.

პირველი ნომერი...  
მეორე ნომერი...  
მესამე ნომერი...  
მეოთხე ნომერი...  
მეხუთე ნომერი...  
მეექვსე ნომერი...  
მეშვიდე ნომერი...  
მერვე ნომერი...  
მეცხრე ნომერი...  
მეათე ნომერი...  
გაისმის ქუჩებში და ხალხი ყუთებისაკენ მიეშურება.

პირველი ნომერი...  
მეორე ნომერი...





### მიორბი გვაზავს სიტუაცია.

თბილისის ქალაქის ახალი საბჭოს  
სადამაზე

გ. გვაზავი. მიორბი ქალაქში. მე სრულად ვეთანხმები ბ. თაყაიშვილს, რომ საქარო გამორკვეს ჩვენი მეგობრული განწყობილება ინგლისთან, რომ უფრო დამხმარებელი იქნას ჩვენი ეროვნული თვითმფენება. მართალია, თუ უკანასკნელ დროში თავი ისინი გაუგებრობამ და ცოტა შიშით შეფუტვრებთ ჩვენს მომადლს, აქ ბრალი მიუძღვის ჩვენს მეორე პარტიას. მაგრამ დღეს, როცა აქ, საქართველოს დედა ქალაქის საბჭოში პირველად გაისმა ქართული ენა, ამდენი ხნის დუმილის შემდეგ, დღეს მე არ მინდა გაწყენინოთ და საწყენი კრიტიკა გაუკეთოთ თქვენს (მიმართვის სოც.-დემოკ. ფრაქციას) პოლიტიკას და მოღვაწეობას.

თუ გადავხედოთ თავის საერთაშორისო მდგომარეობას. მე არა მგონია, რომ ჩვენი ინტერესები იყოს დიდ საფრთხეში. დენიკინმა შეიძლება გადამასხას თავისი ჯარი, გადაიაროს სოჭიდან ბათუმამდე, მაგრამ რაცინდა, რომ ითარეშონ ჩვენს ტერიტორიაზე, მაინც საქართველოს ბედით არ გადაწყდება. ამისთანა თარეშში ბევრს შეწყობენ, სისხლის ღვრას და შევიწროებენ გვიქადის, მაგრამ საქართველოს ბედი კი გადაწყდება არა აქ, არა ამისთანა შემოსევით და თავდასხმით, არამედ იქ, გერმანიაში, საერთაშორისო კონფერენციაზე, იქ, სადაც დენიკინები კი არა სხედან, არამედ პირნი, უფრო განათლებულნი და უფრო გამსჭვალულნი კაცობრიობის კეთილდღობის იდეით. ვინ სწყვეტს იქ საკითხს: საფრანგეთი, ინგლისი და ამერიკა.

შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ საფრანგეთი წავა ჩვენ წინააღმდეგ, იგი უარს ვერ ბოყავს თავის დიდებულ წარსულს და ხელს ვერ აიღებს თავის დიდებაზე. მისი დიდება კი იყო და არის იდეა ერთა განთავისუფლებისა, იდეა, პირველად გამოცხადებული საფრანგეთის დიდი რევოლუციის მიერ. ინგლისის ინგლისის რევოლუციის ინტერესები მოითხოვს, რომ რუსეთი ჩადგეს თავის ბუნებრივ კალაპოტში და შეიძლოს არ ეშუქრებოდეს ინდოეთის გზას და საზოგადოთ მსოფლიო შუკადობიანობას. საქართველოს დამოუკიდებლობა სრულებით განახლება ინგლისის ინტერესებს, ამერიკა? თქვენ კარგად იცით ველსონის პრინციპები და აქ მკაცრ დასამატებელი არაფერი მაქვს.

ასეთი მსოფლიო ძალთა მიმდინარეობა, ეს ტალღა ჩვენს გამოგვიყვანს თავისუფლების და მშვიდობიანობის ნაპირზედ, მიუხედავად დენიკინების მოღვაწეობისა. მაგრამ მართა ამ იმედით რომ დავრჩეთ და გულზე ხელი დაჭირიფოთ — შეუძლებელია. ჩვენ კი — ე. ი. (სოც.-დემ. — კენ) თქვენ და თქვენი პოლიტიკა ბევრს რასზე აფუჭებს და აფერხებს ამ ისტორიულ მსვლელობაში. თუ ირაკლი მეფეს შეეძლო გაგანდგურებინა ოსმალეთის ჯარი ასპინძის ველზე, თუ შეეძლო ერევანი და განჯა, დამოპროჩილებინა, ჩვენ, როცა საქართველო თითქმის გაერთიანებულია, რატომ ვართ აგრე სუსტი და რატომ ვართ ცხდებით ყველგან? სწორედ იმიტომ, რომ უნდა თქვენ ბრძანდებით საქართველოს სათავეში. თქვენ არა გაქვთ ეროვნული და სახელმწიფოებრივი იდეა, თქვენ იწვევთ შინაურ ბრძოლას და განხეთქილებას. თქვენ ვერ მიხვდარბართ, რომ უნდა სწარმოებდ ბრძოლა რასული და ეროვნული, რომ ამისთანა ხანაში საქაროა შინაური დარაზბვა და ერთსულოვნება. ნუ ებრძვით ამას, მოუწოდეთ ერს, როგორც ერს, და საქართველო ისევე ძლიერი იქნება, როგორც ირაკლი მეფის დროს. მეფის ძალა უფლება იწა გადავიდა დემოკრატიაზე და თუ დემოკრატია აღფრთოვა-

ნებული იქნება ერთი იდეით, თავის დაცვას და სახელმწიფოს შექმნის ნებისყოფით, ინს ვერავითარი დენიკინი ვერაფერს დააკლებს. ერთი სიტყვით საქაროა შეუთანხმოთ ჩვენი პოლიტიკა ინგლისის და საფრანგეთის პოლიტიკას, როგორც შინაურ ცხოვრებაში, აგრედვე საერთაშორისო განწყობილებაში, და მაშინ ყოველ საფრთხეს თავიდან ავიცილებთ. გაეთავებთ ორი სიტყვით: გაუმარჯოს საქართველოს! (ტაში).

მიწის მომუშავენი! არ მისცეთ ხმა სოციალისტებს. ისინი ებრძვიან კერძო საკუთრებას. მიეცეთ ხმა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას (სია № 2.)

### ფოსტა-ტელეგრაფი.

რუსეთთან სატელეგრაფო დამოკიდებულების შესახებ. ფოსტა-ტელეგრაფის უფროსმა შინაგან საქმეთა მინისტრს აცნობა: რადგან ტელეგრაფის ნაბი გაივლის იმ ტერიტორიაზე, რომელიც მტერს უჭირავს, ამ უკანასკნელს კი არ სურს ჩვენ და ყუბანის რესპუბლიკის შუა კავშირის დაარსება, ამიტომ ოლქის უფროსი თხოვს მინისტრს მოახდინოს გარეშე საქმეთა მინისტრის შუამდგომლობით დაკითხვა ინგლისის წარმომადგენლებს: შეიძლება თუ არა დროებით საქართველოსა და რუსეთის შორის დებეშთა გაცვლა-გამოცვლა ინდო-ევროპის ტელეგრაფის საშუალებით ხდებოდეს და მისაღებ შემთხვევაში რა პირობებს მოითხოვენ ინგლისელები საქართველოსაგან.

### უცხოეთი.

დროებითი ზავი. პარიზიდან იუწყებიან, რომ უმალდესმა სამხედრო საბჭომ დაადგინა დროებითი ზავის განახლებისთვის უფრო სასტიკი პირობები წამოაყენონ: დაწესონ კანტონალი გერმანიის ჯარის დემობილიზაციაზე.

გერმანიაში. ბერლინიდან იუწყებიან, რომ გერმანიის ეროვნული ყრილობა თებერ. 11 შეუდგება კონსტიტუციის პროექტის განხილვას; გერმანიის პრეზიდენტს კი თებერვლის 12 აირჩევენ, რის შემდეგ დაუყონებლივ შეუდგებიან მთავრობის არჩევნებს ისე, რომ, როდესაც დროებითი ზავის განახლებაზე მოლაპარაკებას დაიწყებენ, უკვე იქნება კანონიერი მთავრობა.

ამერიკის დახმარება. ვაშინგტონში ხაზინამ დაამტკიცა ახალი კრედიტები: იტალიისთვის 7 500,000 დოლარი და ბელგიისთვის 4000000 დოლარი. ამერიკის მოკავშირეებისთვის სულ უსესხებია 8,674,24,000 დოლარი.

საფრანგეთის დაეალიანება. კლემანსომ „არსიე დე დებრეს“ ის კორესპონდენტს განუცხადა, რომ საფრანგეთის ფინანსური მდგომარეობა მძიმეა, გერმანიასთან შედარებით, რომელსაც ყველა სესხები მიგნით სახელმწიფოში აქვს აღებული, ხოლო საფრანგეთი კი იძულებული იქნება დიდი ფული გადაიხადოს საზღვარ გარედ აღებულ სესხები პროცენტებში.

მოკავშირენი და გერმანია. „ფორვერტსი“ იუწყება რომ დიუმელ დორფში მთავრობის ჯარის მოლოდინში სპარტაკელები თავდაცისთვის მოემზადენ. მათ აუწყეს მცხოვრებთ, რომ მთავრობის ჯარის გამოგზავნა მოკავშირეთა მოთხოვნით მოხდა. შეთანხმების სახელმწიფოთა მოთხოვნილებით პოზნანში ჩაიდინენ პოლონეთის და გერმანიის წარმომადგენლნი ზავის პირობების საბოლოო შესამუშევრებად. გერმანიის ჯარმა სრულიად დაცლარუსეთის ტერიტორია კოველ-ბრესტლიტოვის რკინის გზის ხაზზე. ბრესლიტოვის დასავლეთით მოიგერიეს პოლონეთის რაზმის თავდასხმა.

### გაიის წარიღი უყოლაგი-სადმი \*).

საყვარელო შეიღებო. ალექსანდრე და ირაკლი!

მე მუშას რომ თქვენც დამემოწმებით ამხე, ჩვენი მამაშვილობა ძალიან წააგავს ერთ თანასწორ ამხანაგობას და არა უნძროს უფროსულ განწყობილებას. ჩვენ ძალიან მოყვარული კეთილ განწყობილი და შეთანხმებული აზროვნება გვაქვს ერთმანეთში, მორიდებულათ, პატივისცემით და სიყვარულით ვმტკიცეთ ერთმანეთს. ჩვენ არ გვქულს ერთი — მეორის მეგობარი და სტუმარი, ჩვენ არ ვეწინააღმდეგებით ერთმანეთის აზრის ცხოვრებაში გატარებას, მაგრამ ამ დროებამ ისე არივდარია ჩვენი ცხოვრების მსვლელობა, რომ ჩვენც აზრთა განყოფილება შამოგერყვია.

მე როგორც მესმის, თქვენ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას ემხრობით. რასაკვირველია მე არ მაქვს უფლება ამში თქვენ ბრალი დავდეთ, მიტომ, რომ მე თითონ განსვენებული გიორგი ზდანოვიჩის დროს მისი რჩევით, ფედერალისტთა პარტიაში ჩამრიცხეს და რამდენიმე ხანს თვალ ახვეული, მივსდევდი მათი პარტიის — მოძღვრებას, მაგრამ როცა გაზოგებში გამოქვეყნდა სოციალისტების პროგრამა, იმდღიდანვე მე გამოვშორდი საზოგადოთ ყველა სოციალისტების პარტიის მიხზრობას. ამის მიზეზი ის იყო რომ სოციალისტების პროგრამა ჩვენმა მამაპაათა ნაანდერძეგსათი მცნებას უკულ-მა გვიკარნახებს ე. ი. მშრომელ შენახავს წართვის და, გამფლანგველს მიეცესო და მე განა ასეთ პარტიაში დავრჩებოდი.

ჩემი წარსული და მყოფი დრო იმას მიკარნახებს, ადამიანმა ვიშრომო, ვიმეცა, დიწო და ჩემის კეთილის საკუთარი შრომით შევიძინო ჩემი — ჩემთვის და არა რაიმე სხვისი უშრომლად და შეუწყიდლად არ მივითვისო. აი ამ მიზეზმა ჩატება მე და სოციალისტებს შორის ხილი. და თუ თქვენც სოციალისტები ხართ შეიღებო, ხომ გაღმა-გამოღმა დავრჩით? მე ეს არ მინდა მოხდეს ჩვენში მიინც სანამ ჩვენ ერთმანეთში მისავალი ნათესაური გზა წერილი კიდე დავგრჩენია შესერთებლად.

მე დღეს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიაში ვირიცხები. ამ პარტიას მე მიტომ თანავეუტრძნობ, რომ მუშას: საქართველოში მხოლოდ ეროვნულ დემოკრატიული პარტიაა, რომელიც სდგას სახელმწიფოებრივ თვალსაზრისზე, იცავს კერძო საკუთრებას და სამართლიანობას და არასოდეს არ გაიფიქრებს, რომ სხვის უბედურებაზე თავისი ბედნიერება ააგოს. მე როგორც ვსთქვი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა ვარ, მაგრამ ძალიან ვწუხვარ თქვენ რომ დაცილებული ხართ ჩემს მიმართულებას. ვწუხვარ იმიტომ რომ მე ჩემი მოაზროვნე ჩემი შრომით შექმნილი ქონების შემკვიდრე აღარ მრჩება ე. ი. ჩემი საკუთარი შეიღები, თორემ იცოცხლეთ შემკვიდრეები ბევრი დამრჩება: ეროვნულ დემოკრატები ჩემი შემკვიდრენი იქნებიან, და მე რა დამრჩება იმდენი, რომ მათ ვერ მოიხმარონ? მაგრამ მე კიდევ ერთხელ მინდა გამოვსთქვა ჩემი გულის ბოღმა და სურვილი და ამით ვაცნობო არა ქვეყნით ჩემ შეიღებს, რომ მე ეროვნული-დემოკრატი ვარ და ჩემი საკუთრება მიყვარს და ჩემი საკუთარი შეიღებისთვის მინდა მთელი ჩემი ნაშრომ — ნაამაგი რაც მაქვს. თუ მიიღებენ და თუ იგენი სოციალისტები იქნებიან, მეც უფლებას ვიტყვებ ჩემი საკუთარი შრომით შექმნილი ქონება ჩემი საკუთარი სურვილით გავსცე მათზე ვინც ჩემის შეხედულობით სამართლიანობას და ჩემ სურვილებს მხარს დაუჭერს და არ დაუტოვებ მას ვინც სხვის ნაშრომს კიდევ სხვას აძლევს და თვითონ

\* ვებუდვთ ამ წერილს რომ ავტორს საშუალება მიეცეს თავისი გულის ნაღები გამოსთქვას.

კი მოწესრიგების მეტი ერთი რაიონული არ შესძლებია და არა კონია იმიტომ! ნუ მიხედავთ ასეთ სიბრძნეებს და შეთქვენიანათ ერთ ხმათა ვსთქვათ: გაუმარჯოს მას, ვინც თავის შრომით ცხოვრებაზე ზრუნავს და დამარცხდეს ის, ვინც სხვის წართმევაზე ფიქრობს.

თქვენი მოყვარული მამა

გლადიმერ წერეთელი.

### კორესპოდენცია.

ს. თერჯოლა. (შორაბნის მარზა). მოგვიხსენებთ დამფუძნებელი კრების არჩევნები, თერჯოლაში დიდ მზადებაშია, უბნის კომისიამ ჩამოიარა სოფელი და სიებში გამოტყვებულნი შეიტანეს დამატებითი სიაში.

გლვებში მოსვენებას არ გვაძლევენ, გვეკითხებიან, რა ვქნათ, რომელ პარტიას მივცეთ ხმაო, ჩვენ, კომისიის სალაპარაკო დრო არ გვქონდა და არც უფლებას გვაძლევდენ აწერის დროს ხალხში პროპაგანდის გაწევისას. ბევრი ნამდვილი სოციალისტი სულის ჩამდგმელი მათი პარტიისა, რომელიც წინა ერობის არჩევნებზე ეროვნულ-დემოკრატების სისხლს სვამდა, გაიძახოდა: „არა ძმებო“ მე სოციალისტს ხმას ვეღარ მივსცემ, მათი წვენი ვიგემო!“ ამჟარად შეიძლება ითქვას, რომ თერჯოლაში ეროვნულ-დემოკრატების რიცხვი საგრძნობლად იზღდება. დიდ მზადებაშია აგრეთვე ეგრედ წოდებული ვითომდა ხალხის დამცველი „ეროვნული პარტია“ მათ ბიუროც გააღეს თერჯოლაში და დარწმუნებულნი არიან, რომ გამარჯვებულნი გამოვლენ. მე კი თამამად ვიტყვი, რომ ორი ხმის — მეტი არჩევნებზე ვერ მიიღებენ; მხოლოდ ამ ორ ხმას მისცემს ერთი ბიუროს თავმჯდომარე, მეორეს კი მდივანი.

გ. გუთნურისპირლი.

სად. ხრესილი. სამაზრო საარჩევნო კომისიის დაუფლებია ინსტრუქტორობა წულაძისთვის. პირველათ მოგვევლინა ხრესილში 15 იანვარს; რომელმაც შეადგინა კომისიები დამფუძნებელი კრებისათვის. საზოგადოებაში არჩეულ იქნა ხუთი კაცი: მეორეთ ბ. წულაძე მოვიდა 25 იანვარს, თუმცა კრება არავითარი არ შეიძლება, მაგრამ ბოლოს მოახერხა მოხდინა დახურული კრება სადგურ. ხრესილში „რემონტის“ მუშებისაგან, შემთხვევით მოიხიდა დასწრება ამ დახურულ კრებაზე. ჯერ წულაძე მოჰყვა სოც. დემოკრ. პარტიის და აგრეთვე მთავრობის ქებას, როგორ გადაწყვიტეს მიწის საკითხი პარლამენტში სოც. დემოკრატებმა დამაფუძნებელი კრების არჩევნების წინ რამოდენიმე დღით; ასლა ჩვენმა მთავრობამ დააწესა, რომ ყიდვა გაყიდვა თავისუფალი იქნეს მხოლოდ ერობის შეკითხვით, ბოლოს აღიარა რომ სოც. დემოკრ. დიდი დავალი მიუძღვის ხალხის წინაშეა. ბოლოს დააყოლა ასეთი გულკეთილი სადღეგრძელო რომ უკეთუ ეროვნულ დემოკრატებმა, არჩევნებში გაიმარჯვეს ჩვენ, სოც. დემ. პარტია მენ შეგვიკებო უნდა მივემხროთ ბოლშევიკებს თოფით ხელში აღებით და სისხლის ღვრით დავიციოთ ჩვენი სოციალური მიმართულებაო. აი რას უქადის ს. დემოკრატები ჩვენ სამშობლოს, როგორის მიმართულებით აყენებენ სოც. დემოკრ. პარტია ხალხს ტერორის ქვეშ: უკეთუ ეროვნულ დემოკრატებს მიეცეთ ხმა მაშინ ისევე რეველიუციის მოვახთენთ და იგივე გზას დავადგებით როგორსაც დაადგა თავდაპირველათ ლენინით.

ასეთ პროვაციათა სთესენ ხალხში სოც. დემოკრატების აგენტები და საქაროა მათ წინააღმდეგ მკაცრი ზომები იქნეს მიღებული.

დრო არის ასეთი არამზადები აილაგმონ.

ი. ოკრიბაძე.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.